



ქ.ზუგდიდი



30 ნოემბერი 2016 წ

დადგენილება N26

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 31.12.2015წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016198) შეტანილ იქნეს ცვლილება კერძოდ,

1. დადგენილების დანართის მე-3 თავის მე-13 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება კონკრეტულად:
  - ა) 200.0 ათასი ლარით შემცირდეს ბიუჯეტის /05 01 04/ კოდით გათვალისწინებული ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული თანხა და განისაზღვროს იგი 383.9 ათასი ლარით, ნაცვლად 583.9 ათასი ლარისა.
  - ბ) 200.0 ათასი ლარით გადიდდეს ბიუჯეტის /05 01 03/ კოდით ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული თანხა და განისაზღვროს იგი 391.1 ათასი ლარით, ნაცვლად 191.1 ათასი ლარისა.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 30 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 თავმჯდომარე

